ოქმი:**ო12. 3723208001**

თარიღი:**27/07/2023**

ოქმი № 13

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 25 ივლისი
ქ.ოზურგეთი
14.00-14.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ჭანიშვილი, დ. მდინარაძე, ნ. ღაჟონია, ნ. სარჯველაძე, ვლ. ხავთასი, გ. სირაძე, მ. ვაშალომიძე, ი. თუთბერიძე, ნ. ნადირაშვილი, ქ. ვასაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ ნახევარში კულტურის განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ-ინფორმაცია.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ნ. ხომერიკი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ ნახევარში სპორტის განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ-ინფორმაცია.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: ნ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი ინფორმაციები:“ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ ნახევარში კულტურის განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელსა და 2023 წლის პირველ ნახევარში სპორტის განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“, ხოლო ვრცელი ინფორმაციები გააკეთა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა თანამომხსენებელმა ნ. ხომერიკმა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ინფორმაციების ცნობად მიღებას.

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი